საქართველო

წლიწადი მეექვსე | სამშაბათი, იანვრის 6 1920 წ. № 4 | ფასი 3 მან.

პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

საქართველო

1920 წ. (წლიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი - კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წვერავასთან, სამეურნეო ბანკში ჰ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძეგველოვთან, შუა ბაზარში იოსებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ სპ. ბენდუქიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	ნახევარ წლით	სამი თვით
1000 მან.	600 მან.	300 მან.

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

თავისუფალნი განსვენებულნის

დიმიტრი ელიზბარის ძის გიგინეიშვილის

და მისი დისწულის, ბოლშევიკების ბრბოებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულის პარტიზანული რაზმის უფროსის შტაბ-როტმისტრის

ევგენი სოლომონის ძის აგხაზავას

აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ პირველის გარდაცვალების ერთის წლის და მეორეს ორი წლის თავზე მათი სულის მოსახსენებლად შაბათს 10 იანვარს (ახალი სტილით) ს. ჯურუყვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ. 2692—1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი

ხუთშაბათს, იანვრის 8-ს

დილით	საღამოთი
გენზელ და გრეტელი	პიკის ქალი

პარასკევს, იანვრის 9-ს

დილით	საღამოთი
კარმენ	ჰოფმანის ზღაპრები

შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისათვის.

„ჯამბაზები“ და ბალეტი

კვირას იანვრის 11-ს

დილით	საღამოთი
გენზელ და გრეტელი	დუბროვსკი

ქართული კლუბი

იანვრის 5-დან 1920 წ. ყოველ დღე საღამოს 8 საათიდან

სინემატოგრაფი

შემდეგ

ლოტო

დარბაზის გათბობა გაუმჯობესებულია. 324 2—1

გამოვიდა და იყიდება

„მეოცნებე ნიამორები“

№ 3

რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

ყოველ დღე საათის 1—5-დის

სადილი

რუმინიული ორკესტრი ცნობილ ანგელესკოს ხელმძღვანელობით.

საღამოს შეკრება 9 ნახ. ს. პროგრამის დაწყება 10 ნახ. ს.

ქუთაისის სამაზრო ერობა

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩაზე ერობის ქარავნის ეზოში 11 იანვარს 1920 წ. დღით კვირას საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ორი უღელი კამეჩი და ხუთი ცხენი

საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში. 322 5—5

დღეს კინო თეატრებში

კინო-თეატრი **ფილმა** ოლღას ქუჩა № 3. მხატვრული კინო-ილლიუსტრაცია ა. დიუმას განთქმულ რომანით

„გრაფ მონტე-კრისტო“

„ძმ. პატეს“ ატელიეს გამოცემა. სერია „ფილმ დ' არ“.

ეპოქები 1 და 2 „ედმონდ დანტესი“ „მონტე-კრისტოს საუნჯე“.

დანტესის როლში ბ-ნი დ. მატო.

მუს. ილლუსტრ. ნ. ხუდიაკოვისა. თეატრი ითბობა.

აპოლლო ახალი რუსული მხატვრული დადგმა ატელიე „ნეპტუნისა“

დემონის ძალა

დრამა 5 მოქმ. ზოია ბარანცევიჩის და ტურკინასი.

მოქმედება სწარმოებს კავკასიის ბუნების მშვენიერ ფონზე. უმთავრეს როლებში: ნაბლოცკაია, კოლუმბავა, ნეკრასოვი.

დადგმა მალიკოვისა.

კინო პალასი ახალი დიდი სამხატვრო პროგრამა „ჩანესის“ ატელიეს გამოცემა

ბერი! ზელი გავშვების გამტაცებლები

სევდიანი დრამა 4 ნაწ. დიდი ქალაქის ბანდიტების ცხოვრებიდან. შესანიშნავი დადგმა. მომტაცებელი ტრიუკი!

სიყვარული და შოკოლადი მხიარული კომ. 3 ნაწილად

ანონსი: ამ დღეებში ახალი შესანიშნავი დადგმა ლეონიდოვისა და დორეტტონის მონაწილეობით

მინიონი



ა. პაჟულინის რომანიდან

„ასე იყო გადაწყვეტილი“

ტრაგედია. მონაწილეობენ მ. გორიჩევა და გ. რუტკოვსკაია.

დასასრულ

„საზღვართა სამეფოში“

კომიკური.

ამ პროგრამაზე მოწაფეები და ბალღები არ დაიშვებიან.

მიხეილის

ალკაზე

პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ სამი დღე ქრისტეშობისთვის 29, 30, 31-ს

სიკვდილის ფრთებს ქვეშ

პრინც ალბერტ ფლორენტილის მემუარებიდან.

ტრაგედია 4 ნაწილად მარია იაკობინის მონაწილეობით.

დასასრულ **კომიკური**

ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

მოითხოვეთ ყველგან

უმაღლეს ხარისხის

კონიაკი და არაყი

ი. მ. ლაზარევის

თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—12

კომისიონურ კანტორაში

ფ. ა. ასათიანი

რუსთაველის პრ. № 10 (გოლოვინ. პრ.).

მიღებულია პარიზიდან დიდი, აუარებელი საქონელი

ქალთა და ბავშვთა ფეხსაცმელი, თეთრეულები, სუფრები, ხელსაწმენდნი, პირსახოცები და სხვა.

კორსეტები, ბანდაჟი, საპარიკმახერო ნივთები, ფილეტები, საპარსავები.

საგალანტერეიო საქონელი იყიდება ბითუმად და ნაწილობრივ. საქონლის გაყიდვა დაიწყება ორშაბათიდან იანვრის 5 დან.

2686 4—2

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„შვილდოსანი“

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

ქართული კლუბი

აშუგოვ რეპერტუარი

ხუთშაბათი 8 იანვარი დრამა „ტარტო“ ფარსი

დეილა ჩარლეი

პარასკევი 9 იანვარი დილით ბავშვებისათვის დრამა „ტარტო“

მოჯადოებული პრინცი

საღამოს **დიდი კონცერტი**

შაბათს 10 იანვარს საოჯახო საღამო ნ. ე. წვერავასი.

კვირას 11 იანვარს დილით ქართული წარმოდგენა ბავშვებისათვის. საღამოს წარმოდგენა „შევარდენი და ყორნები“.

დასაწყისი—დილის 12 საათზე. საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 325 5—1

ქართული კლუბი

შაბათს 10 იანვარს 1920 წელსა

საოჯახო საღამო

მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. წვერავასი.

თეატრში:

ფარსი დრამა „ტარტო“ კონცერტი ქ. ალეშკო, ბ. ბ. ზალიპსკი, ისეცკი, ილჩენკო და სხვ. ბოშათ რომანსები ა. ორლოვა. დეკლამაცია ქ. სატინა, მოთხრობები იბ. ნიროვი.

სასადილოში

„დიდი კაბარე“

ოპერიდან „ქეთო და კოტე“ ბ. ბ. ქურხული და კურბატოვი, ისეცკი ანნა ორლოვა, სატინა, ნიროვი და სხვანი.

როიალთან ვასილევა-ანდრონიკაშვილისა და პროზოროვსკი.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

საღამოს გამგე ნ. ე. წვერავა.

შინაგანი გარანტია

საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტრები, რომელთა რიცხვი თუ იზრდება, თორემ არ მცირდება, ჩვენი რესპუბლიკის დაარსების დღიდანვე არწმუნებდენ ქვეყანას, რომ საქართველოს არ შესწევს სახელმწიფოს შექმნის უნარი. არც ისე შორს არის ის დრო, როცა დორბლით პირზე ჩვენი მოწინააღმდეგენი ყალბი სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებდენ საქართველოს დამშევას, დროებით მშვიდობიანობას კი მიაწერდენ ხელსაყრელ საერთაშორისო კომბინაციებს, და ფატალისტურ პირობებს.

რასაკვირველია ამ ხალხს რომელნიც ბოლოს და ბოლოს აღიზარდენ ქართველ მენშევიკების იდეოლოგიაზე, არ ეგონათ რომ ჯანსაღი ნაციონალიზმი გაიმარჯვებდა ქართველ ერში და მრავალ-საუკუნეებით შექმნილი და შენარჩუნებული სახელმწიფოებრივი ტრადიციები თავისას გაიტანდენ.

მაგრამ დრო მიდიოდა და ქართველი ერი გასაოცარ სამოქალაქო შეგნებას იჩენდა, ატავისტური ინსტიქტები აჩვენებდენ გზას და თუმცა ხშირათ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, როცა თვითონ მთავრობა და მართველი პარტია პანიკას მისცემია და გზა აბნევია, ხალხი მაინც სასწაულით ხვდებოდა თავის დანიშნულებას და იმარჯვებდა კიდეც.

ბევრ მაგალითებიდან ერთი კმარა: სომხებთან ომში შარშან, სწორეთ ამ დროს, რომ ხალხს არ გამოეჩინა პირადი ინიციატივა და მასიური გმირობა, მუხანათურათ მოქნეული მახვილი დაამხობდა თბილისს და მენშევიკების მთავრობასაც.

მაგრამ ხალხი, როგორც ერთი კაცი ადგა ფეხზე და გავიდა ბრძოლის ველზე, ეს იყო გამარჯვება პატრიოტიზმის და გმირობისა.

ამის შემდეგ ის ხალხი, რომელნიც ყუმბარებს აწყობდენ სასახლეებში, და აფეთქებდენ ხიდებს მიიმალენ, აგრეთვე მიიმალენ ის წვრილ ფეხა პროვოკატორები, რომელნიც აჯანყებებს აწყობდენ სხვა და სხვა კუთხეებში.

რასაკვირველია ყოველი მთავრობა და პარტია, რომელიც ბედმა სათავეში დაუყენა ერს ეცდებოდა თავის სარეკლამოთ გამოეყენებია ხალხის ასეთი შეგნება; ამიტომ არის რომ მენშევიკები თავს იქებენ მთელი ქვეყნის წინაშე.

მაგრამ თვითონ მენშევიკებისთვისაც მოულოდნელი იყო და არ ეგონათ, თუ ქართველი ერი ამდენ შეგნებას გამოიჩენდა.

თანდათანობით დაავიწყდათ ს.-დემოკრატიის იდეოლოგებს ის ამბავი, როცა ცილს სწამებდენ ქართველ ხალხს, თითქო ის ორგანიულათ ნაციონალიზმისა და საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგი ყოფილიყოს.

მენშევიკები მიხვდენ, რომ ყველაფერი ხალხის ისტორიის და ტრადიციით კეთდება; მარტო ს.-დემოკრატებზე რომ ყოფილიყო საქმე, განა რუსეთის რევოლიუციას სწორეთ მენშევიკები არ უდგენ სათავეში პირველათ, მაგრამ რუსეთის სტიქიამ თავისი ქნა, და ოქტომბრის რევოლიუციამ ნამდვილი რუსული ხასიათი მის-

დღეს:

ბოლშევიკები ყველა ფრონტებზე წინ იწევენ. ღამით 2/3 იანვარს ქ. ცარიცინი აიღო.

ბერლინიდან მიღებულ ცნობით დაატყვევეს პოლკ. ბერმონცის 80.000 ჯარის კაცი.

ირლანდიაში მდგომარეობა გამწვავებულია. დუბლინში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ენგელმა 6.000.000 მანეთი გაიტაცა.

გერმანიის 18 სახელმწიფო გერმანიის პოლიტიკურ გაერთიანების წინააღმდეგ წავიდა. ეს სახელმწიფოები და განსაკუთრებით სამხრეთის სახელმწიფოები ფედერაციის მომხრენი არიან.

მდ. რეინის ადიდებამ გარემო ადგილებს დიდი ზარალი მიაყენა.

წერილები:

მეთაური—შინაგანი გარანტია.
პრესსა.
გ. გუჯეჯიანის საქმე.
მოხალისენი და ამიერ-კავკასია.
სასოფლო მეურნეობა.

ცა სხვისგან დაწყებულ მოძრაობას.

საქართველო მართლაც, რომ „სიმინდის რესპუბლიკა" ყოფილიყო, ამდენხანს ათჯერ დაინგრეოდა; ნამდვილად კი, საქართველოში მეტი იყო დაგროვილი სულიერი სიმდიდრე ვინემ ჩვენ მტრებს და მოყვრებსაც ეგონათ, ამან გამოიწვია ის, რომ საქართველომ როგორც ალყა-შემორტყმულმა ციხემ, გაუძლო შიმშილსა და არ დანებდა მტრებს.

მხოლოდ ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ მთავრობას შეგნებული ჰქონდეს ეს მდგომარეობა და ან ცდილობდეს ამ პირობების გაუმჯობესებას.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში საქართველოს ოაზისს ეძახიან, ყველანი ოცნებობენ ამ „სამოთხეში" ყოფნას მაგრამ განა დიდხანს იქნება ამგვარი მდგომარეობა ჩვენ ქვეყანაში?

როცა სომხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ერევანი უდაბნო იყო, იქ ლტოლვილები შიმშილით კვდებოდნენ, მაგრამ სომხებმა რჩეული პირნი გაგზავნეს ევროპაში და ამერიკაში, დაარსდა ათასი დამხმარე კომიტეტი, მთელი ქვეყანა შესძრეს ყვირილით შიმშილზე და დღეს თვითონ სომხები არ მალავენ, რომ იქ სასურსათო საქმე უკეთ არის მოწყობილი, ვინემ საქართველოში.

რას შვრებოდა ამ დროს ჩვენი მთავრობა, როგორ არის დაყენებული სასურსათო და მომარაგების საქმე?

განა კაჩაზნუნის და ჩხეიძის მოქმედება ევროპაში ერთმანეთს შეეწონება?

დღეს თვითონ მენშევიკები არ მალავენ, რომ ჩვენ სასურსათო კატასტროფის წინ ვდგევართ, ეს მაშინ, როცა წითელი და შავი რუსეთი ლამობს თავის სისხლის ტალღები საქართველოში გადმოიტანონ და კავკასიონს უკვე მოადგნენ რუსეთის ურდოები.

ვერას გახდება ვერც გვარდია და ვერც ჯარი, თუ თვითონ ხალხი არ შეხვდა შეგნებით ამ საკითხს—ეს არის შინაგანი გარანტია, რომელიც ამდენხანს იხსნიდა საქართველოს, მაგრამ ეს გარემოება არ ყოფილა დაფასებული.

დრო კი არ იცდის და ყოველი დაყოვნების წამი სიკვდილის წამია და საბედისწერო, ყველაზე უფრო ეხლაა საჭირო ყურადღების მიქცევა, რომ ხალხში არ გაჰქრეს ეს შინაგანი გარანტია, რომელიც ამდენხანს იმარჯვებდა და ამარჯვებიებდა საქართველოს...

პრესსა

თურქული პრესა საქართველოს და სომხეთის შესახებ.

გაზეთ „ჩაკატამის" ცნობით სომხურ ვილაეტებში გაგზავნილი დოქტორი ლუთფი არზრუმიდან დაბრუნდა სტამბოლში და ერთ თურქულ გაზეთის რედაქტორს შემდეგი ცნობები გადასცა:

„საზღვრებზე ოსმალები არ აწიოკებენ სომეხ ერს, მაგრამ არზრუმში შემდგარა სამშობლოს დასაცავად ძლიერი რაზმი, რომელიც არ დაუშვებს, რომ სომხებმა ერთი ნაბიჯი გადადგან ამ მხარეში.

არეზის გასწვრივ მდებარე თურქულ ოლქებზე სომხები აწარმოებენ თავდასხმას, მაგრამ ადგილობრივ მაჰმადიანებისგან რელიგიურ და ეროვნულ სიმტკიცის წყალობით უკუქცეულ იქნენ.

„ნახიჩევანის, ორდუბათის და ჯულფის მხარეს მაჰმადიანები დაეპატრონენ და არ შეიძლება, რომ სომხების მფლობელობა გავრცელდეს იქ.

შეიძლება ეს ადგილები შეუერთდეს აზერბაიჯანს და თუ პატარა სომხეთი დაარსდა გოგჩის ტბის დასავლეთის მხარეს, მაშინ შეიძლება დაარსდეს ერთი ახალი მაჰმადიანური სახელმწიფო. ასეთ იმედს გვაძლევს: აქამდე ნახიჩევანის ოლქში გამოჩენილი სამზადისი.

„ყარსის და არტაანის ოლქებში უფრო ძლიერი ორგანიზაციები დაარსდა. ამის მიზეზი ის არის, რომ სომხებს არ შეუძლიანთ ქართველები შეითვისონ. მათ ჩვენთან და აზერბეიჯანელებთან დამოკიდებულება არა აქვთ. ქართველები აფასებენ ყარსის, არტაანის და ბათომის ოლქებში მცხოვრებელი მაჰმადიანთა ძალას, და ისწრაფიან დამოუკიდებლად და თავისუფლად დასტოვონ მაჰმადიანები, გარდა ბათომისა.

„საქართველო ხიფათად სთვლის სომხების გამრავლებას ამ ოლქებში. ქართველები მომხრენი არიან, რომ კარგად იცხოვრონ კავკასიის მაჰმადიანებთან და უნდათ, რომ დაღესტანში ძლიერი მთავრობა იმყოფებოდეს, რათა საქართველო დაცულ იქმნეს ჩრდილოეთით. ამისთვის თურქული პრესსა უნდა ეცადოს, რომ ქართველებით ისარგებლოს მაჰმადიანურ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

(ჩაკატამ).

⁂

მდგომარეობა აფხაზეთში.

სოხუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს ორგანო „მნათობი" შემდეგ მეთაურს უძღვნის აფხაზეთის მდგომარეობას:

როგორც მთელ საქართველოში, ისე აქაც სოხუმშიდაც მრავლად მოკალათებულან მუქთა-მჭამელთა და პროვოკატორთა ხროვა.

ვინ არ გნებავსთ, რომ სოხუმში არ ფარფაშობდეს.

ყოფილი რუსეთის შავრაზმელი ოფიცრობა, რომელსაც არა სწამს, არამც თუ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ თავისი სამშობლოც კი. თავისას გამოქცევია, ჩვენსას კი ებრძვის და მის განადგურებას ლამობს.

მრავალი შავრაზმელი და რეაქციონერები, რომელნიც გამოექცნენ საბჭოთა რუსეთს, რათა თავი შეერჩინათ მხრებზე, აქ განისვენებენ და მადლობის მაგიერად ძირს უთხრიან ჩვენს სახელმწიფოს.

დაბოლოს მრავალი პირდაპირი აგენტები მოხალისეთა შავი სარდლობისა, მრავალი მილიონებით ხალხისა და ჯარის ასარევად ერთის მხრივ, ხოლო საბჭოთა რუსეთის აგენტები მეორეს მხრით. აგრეთვე მრავალი მილიონებით და იმავე მიზნებით ე. ი. ფულების წყალობით ხალხის და ჯარების აჯანყებათა მოსაწყობად, რათა დანგრეულ და განადგურებულ იქმნას დამოუკიდებელი არსებობა საქართველოში და რომ ის ალაგოს პირისაგან ქვეყნისა.

ყველა ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავლის უმრავლესია ჩვენ ცნობარებში და რადგან ეს ასეა, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ-არს, რომ დროთ ბოლო მოეღოს ამ ლმობიერებას და ქალაჩუნობას.

უნდა გაიწმინდოს როგორც მთელი საქართველო, ისე სოხუმი და მისი პროვინციებიც ამ მრავალ მუქთახორა და რესპუბლიკის მოსისხლე მტრებისაგან.

ზოგიერთნი ამ საკითხს ეკონომიური კრიზისის გასანელებლად აღიარებენ. ჩვენ კი არ უარვყოფთ მის ეკონომიურ მნიშვნელობას, მაგრამ ხაზს ვსვამთ და აღვიარებთ, რომ ეს ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და სანამ მთელი საქართველო სრულიად არ გაიწმინდება ამ ბოროტ და ღვარძლიან მტრებისაგან, მანამ ვერ მოისვენებს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელიც მახვილით იცავს ძვირფას სამშობლოს თავისუფლებასა და კეთილ-დღეობას. მაგრამ ვინ იცის, რომ ზურგში მრავალი ბოროტი მტერი ყავს, რომელიც ზურგიდან ეპარება და გაჭირვების ჟამს ზურგში ლახვრის დაცემას უპირებს.

თბილისი და ქუთაისი უკვე შეუდგა ამ საქმის განხორციელებას; მას უნდა მიბაძოს სოხუმის ოლქის მართველობამაც.

კმარა ყოყმანი და ლმობიერება!

ჩვენ-ჩვენი პირდაპირი სიტყვა უნდა უთხრათ მტრებსაც და მეგობრებსაც.

გიორგი გუჯეჯიანის საქმე.

ცნობილი სიმონიკა გოცაძე თავის საპასუხო წერილში ივერიელების მიმართ გაზ. „ერთობის" № 298 სხვათა შორის ამბობს, რომ **საჩხერის რაიონში გამოსვლები უნდა დაწყებულიყო,** რომ გვარდიას ხელი არ შეეშალა. ამის ფაქტები ბევრია: სისტემატიური კრებები გორის მაზრასა და ადგილობრივ მეამბოხეთა სოფ. ჩონთოში და სხვა.

მართალია, გორის მაზრაში სისტემატიური კრებები და გამოსვლები იყო, ეს ფაქტებიდანაც სჩანს და გორის მაზრაში მომქმედმა მთავრობის რაზმმა ხელთ იგდო დამნაშავენი და გაასამართლა ისინი საველე სასამართლოთი. მაგრამ რათ მიაკრა ს. გოცაძემ გორის მეამბოხეები შორაპნის მაზრის საჩხერის რაიონს ს. ჩონთოს, რომელშიდაც არ ჰქონიათ ადგილი არავითარ გამოსვლებს და განძრახვებს და თუ ჰქონდა ადგილი, რატომ არავინ დაიჭირია მისდამი რწმუნებულ შტაბს. მეამბოხეთაგანი არც ერთი კაცი არც ჩონთოში და არც საჩხერის რაიონში არ დაუჭერიათ, და რატომ?

იმიტომ, რომ არავინ აღმოჩნდა საჩხერის რაიონში ასეთი, თუმცა გ. გუჯეჯიანს სწამებენ დიდ პროვოკაციას. მაგალითად, სიმონიკა გოცაძე ამბობს, რომ „შეკრებილი მასალებიდან შტაბი დარწმუნდა, რომ ხალხში დიდი პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. ოჯახური კითხვების მოუწესრიგებლობაშიაც ბრალი თურმე ჩვენს მთავრობას მიუძღვის. შეშის არ ქონა, თანამედროვე სიძვირე, უსურსათობა და სხვა". ს. გოცაძე განა ვიტომ ასხამდა ხალხს დამწვარზე მდუღარეს? რაც ხანი შტაბი ჩონთოში იყო შეშას მცხოვრებლებს უსასყიდლოდ აზიდვინებდა შტაბისთვის და უდანაშაულო მცხოვრებლებს იბრიყვებდენ, ართმევდენ და უკლავდენ ღორებს, შინაურ ფრინველებს. მრავალთა შორის ერთ მაგალითს უჩვენებ უდანაშაულო ძირულელ მცხოვრებზე საჩინო ხახიაშვილზე, რომელსაც დაუკლეს ღორი და რამოდენიმე წვრილფეხი. ნუ თუ ასეთი ქცევით ფიქრობს ს. გოცაძე შექმნას კეთილ განწყობილება ხალხსა და მთავრობას შორის?

ჩონთოში ყოფილა ორი ძმა გელაშვილები, რომლებიც ქურდობით და ბაცაცობით თავს იცხოვრებდენ. მათ მეძლამენე გაცარცვეს და მოკლეს. მაგრამ ისინი გადავარდნილი არ ყოფილან. ცხოვრობდენ თავის მამის სახლში და ადგილობრივი კომისარიც ხელს არ ახლებდა სანამ გვარდიელები არ მივიდენ მერე კი მისცა ხელში და იმათმაც საველე სასამართლოს მისცეს რომელმაც სიკვდილით დასაჯა.

მეტი დამნაშავენი რომ ვერ აღმოაჩინეს საჩხერის რაიონში შტაბი გზავნიდა რაზმს გორის მაზრაში და იქიდან მოყავდათ დაჭერილი კაცები იქაური მცხოვრებნი. მოიყვანეს სამი კაცი; მელაძე მიხა, სამხარაძე, აბულაძე პეტრე, რომლებმაც აჩვენეს შტაბს, რომ ჩვენ ძალით ვიყავით გაყვანილი ყაჩაღ არსენა ლომიძისაგან მთავრობის საწინააღმდეგო რაზმში, მაგრამ ხსენებული ყაჩაღი მოვკალით და კიდევ ორი მისი ერთგული ამხანაგიო. როგორც მოკლულების, ისე თავისი იარაღი მიუტანეთ მთავრობის შტაბს ზოგი გორში და ზოგიც ხაშურშიო. როგორც მათ უპასუხეს საველე სასამართლოში მთავრობას ისინი მადლობით განუთავისუფლებია. ჩონთოს საველე სასამართლომ ყველა მათ დახვრეტა გადაუწყვიტა სამხარაძესა და აბულაძეზე განაჩენი სისრულეში მოიყვანეს, ხოლო მელაძის ნათესავებმა გორის ერობიდან მელაძის განთავისუფლების ქაღალდის მოტანა მოასწრეს და მით მელაძე გადაარჩინეს. ამ რიგად ჩონთოს საველე სასამართლომ გაასამართლა მოქალაქენი, რომელნიც მან გორის მაზრაში დაიჭირა და რომელთაც ქსნისკაში თუ სხვაგან გორის მაზრაში დანაშაული ბრალდებოდათ. განა ეს არის ბ. გოცაძე საჩხერის რაიონის ამბოხება?

სიმონიკა გოცაძეს საჩხერის რაიონში ჩასვლისათანავე შეეტყო, რომ ის იყო კბილებ ალესილი გიორგი გუჯეჯიანზე და ყველას თხოვდა გუჯეჯიანზე ცუდი რამე ეთქვათ, მაგრამ ხშირათ ის საწინააღმდეგო პასუხს ღებულობდა თვით თავის პარტიულ თანამოაზრეებთაგანაც: გ. გუჯეჯიანი ებრძვის ყოველივე უსამართლობას და ამით ხალხის გულს იგებს; მას დიდი ნდობა აქვს დამსახურებული და ლამის ყველა ეროვნულ დემოკრატათ აქციოსო.

ასეთი პასუხი არ მოსწონდა მას, გაბრაზდებოდა და ამბობდა: როგორ ბედავს ასეთ მუშაობას იმან ის არ იცის რომ ის ჩვენ ხელშიაო.

გიორგი გუჯეჯიანი გაჩხრიკეს ს. გოცაძის განკარგულებით, მაგრამ საბუთიანი ვერაფერი ვერ უნახეს. ნახეს კომისარზე საგაზეთო წერილების შავები, და პარტიული ბეჭედი, რომელნიც თან წაიღეს. გ. გუჯეჯიანი დააკავეს ასე უმიზეზოთ ს. კვერეთში და იქიდან გაგზავნეს დარაჯ ქვეშ 30 ვერსის მანძილზე ს. ჩონთოში, სადაც საველე შტაბი იყო. სამი დღე მხედველობის ქვეშ ყავდათ და შემდეგ შეამწყვდიეს ხალხრეში რამაც დიდი გულის წყრომა გამოიწვია ხალხის გულში, მაგრამ გოცაძის შიშით ვინ რას გამბედავდა? გოცაძე ჩონთოში ხალხს ეკითხებოდა გ. გუჯეჯიანზე ყოველნაირად. მაგრამ ისეთ პასუხს როგორიც მას ეწადა ვერ მიიღო. აგრეთვე სოფლებში გზავნიდა შიკრიკებს რომ გაეგოთ ვინ იყო გუჯეჯიანის წინააღმდეგი და პირადი მტერი. ასეთებს აბარებდა და კითხავდა. ასე შემოიარეს 30-დე სოფლები თან იარაღს ეძებდენ და თან გუჯეჯიანის შესახებ ცნობებს კრეფდენ. როგორც შტაბი ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, ისე გუჯეჯიანი გადაყავდათ და ათავსებდენ ცივ ბინებში და თუ იმ ბინაში ფეჩი იდგმოდა, იმასაც აცლიდენ და ცივ ბინაზე ყავდათ თოვლში და ყინვაში. სხვა ტუსაღებს სადილსაც აჭმევდენ და ჩაისაც აძლევდენ და გუჯეჯიანს მარტო ცივ პურს აძლევდენ და საჭმელს ძალიან ძვირად. გუჯეჯიანი ყოველივე ამას მხნეთ იტანდა. ეს ამბავი მინისტრის ყურამდე მივიდა ალბათ. მინისტრს მოუთხოვია გუჯეჯიანი თბილისში გადაგზავნა, მაგრამ გოცაძე და ლაბაძე დიდ უარზე იყვნენ გუჯეჯიანის თბილისში გადაგზავნაზე და სთქვეს: ჩვენი საქმე ჩვენ ვიცით, მინისტრი ჩვენი არჩეულია, გვინდა დავემორჩილებით, გვინდა არაო. როცა მთელი რაიონი შემოიარეს დაბრუნდენ საჩხერეში გუჯეჯიანითურთ და კიდევ სხვა ეროვნული დემოკრატებით. აქ ყვირილის პირას ბნელ ცივ პადვალში ჩაყარეს და იქ სამი დღე და ღამე ყავდათ. ამდენი სიარულით რომ ვერ ნახეს საკმარისი მასალა გუჯეჯიანის წინააღმდეგ, მაშინ ს. გოცაძემ მიმართა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც მას შეუთხზეს ყალბი ბრალდება და მოწმეებათაც ისეთივე პირები დანიშნეს, როგორც დავით გელიშვილი [illegible] სება ახდილი და 18 წ. [illegible] ჯილი, რომელსაც გიორგი გუჯეჯიანზე კერძო ინტერესები აქვს. ის იყო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე და გუჯეჯიანის მეოხებით მას გამოუაშკარავდა მრავალი ბოროტ მოქმედება და სამსახურიდან დათხოვნილი იქმნა ზიზღით. დარისპან ზაზანიძე—ისიც ღირსებ ახდილი ავაზაკურ მკვლელობისათვის და იმასაც კერძო ინტერესი აქვს გუჯეჯიანისა. ზაზანიძე უჩიოდა გუჯეჯიანს ადგილს და გუჯეჯიანმა მოუგო მას. აბეშნიკი თედორე მოსიაშვილი, რომელიც გუჯეჯიანს მრავალჯერ ყავს გალანძღული საიდუმლოთ სახელმწიფო ხე-ტყის გაყიდვისთვის, რის მოწმეებიც მრავალი ჰყავს გუჯეჯიანს.

შალიკო პუმპურიძე, რომელიც დამფუძნებელ კრების არჩევნებზე ინსტრუქტორათ იყო სოც.-დემოკრატიული პარტიის მხრივ და როგორც მოწინააღმდეგე პარტიის ინტერესების დამცველი, ცხოველ უკმაყოფილო იქნებოდა გუჯეჯიანით. მას თუ გუჯეჯიანზე ამდენი ბრალდება ჰქონდა, რატომ შარშანვე არ აღძრა ამაზე საკითხი და რადა ახლა წარმოადგინა ასეთი ბრალდება, როდესაც საველე სასამართლოსთვის ყალბის გამოაშკარავების საშუალებას ბრალდებული მოკლებულია? თუ პუმპურიძის ბრალდება სიყალბე არ არის, მისი მოადგილე პანჩულიძე, რომელიც უკანასკნელ ერობის არჩევნებში იყო ინსტრუქტორად, რატომ არ ადასტურებს ასეთ ბრალდებას?

ასეთ მოწმეების შოვნით ს. გოცაძე ცდილობდა გუჯეჯიანის ჩირქის მოცხებას და ამ რაიონიდგან მოშორებას, სადაც ხალხში დიდი ნდობა და სიყვარული აქვს დამსახურებული,—მაგრამ გუჯეჯიანს ჩირქს ვერ მოსცხებს ლანძღვა ახდილ ავაზაკთა ყალბი მოწმობა. ასეთი საქციელი გოცაძისა ჩირქს სცხებს უფრო იმ პარტიას, რომელ პარტიიდგანაც გამოყავს ასეთი ცრუ მოწმეები.

გ. გუჯეჯიანი არ არის ს. გოცაძესავით გუშინდელი გამოჩეკილი მოღვაწე. გ. გუჯეჯიანი არის 50 წელს გადაცილებული. მას დიდი ხანია იცნობს საჩხერის რაიონი. გ. გუჯეჯიანისაგან არ წარმოსდგება ისეთი დაუკვირებელი სიტყვა-პასუხი, როგორიც მიაწერა მას ს. გოცაძემ და ადასტურებს ცრუ მოწმეებით. გ. გუჯეჯიანმა თუ გასწია მთავრობის წინააღმდეგ აგიტაცია, განა ის ამ აგიტაციას გასწევდა სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრებთან და ისიც ღირსება ახდილ პირებთან? გ. გუჯეჯიანმა საჩხერის კომისარი მახარაძე იმიტომ დაათხოვინა სამსახურიდან, რომ ყოველი მისი მოქმედება ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. გ. გუჯეჯიანი იმას ცდილობდა, რომ ხალხი დაემშვიდებია და ანარქია არ შექმნილიყო, როგორც შარშან.

საჩხერის რაიონის მცხოვრებლებმა და თვით ს. გოცაძემ კარგათ იცის თუ როგორი მშვიდი და დარბაისელი ყოფა-ქცევისაა გ. გუჯეჯიანი. ის უანგარო და შეგნებული წევრია ერ.-დემოკრატიულ პარტიისა. მას სწამს და ეტრფის საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომაა რომ ის ერთგულ დარაჯათ უდგია ყოველივე უსამართლობას საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის. ხალხმა აგრეთვე იცის, რომ ს. გოცაძე გუჯეჯიანს გა-

ქართული სკოლა.

სკოლა—ერის ყოველმხრივი წარმატების ფუძეა.

ჩვენ შეგვიძლია მივსწვდეთ ევროპას მხოლოდ სკოლის საშუალებით.

მაგრამ სკოლამ რომ თავისი დანიშნულება აასრულოს, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას უნდა შეესაბამებოდეს.

როგორი სკოლაა დღეს ჩვენში?! დაეტყო თუ არა წარმატება ძველი რეჟიმის სკოლასთან შედარებით?

პირიქით, სოციალდემოკრატიულმა მთავრობამ ქართული სკოლა არა თუ არ გააუმჯობესა, არამედ გააუარესა.

მხოლოდ იმ მხრით არის დაწინაურება, რომ სწავლება ქართულ ენაზე წარმოობს.

სხვებრ კი ქართული სკოლის მეთოდი, შეიძლება ითქვას, კიდევ უარესია, ვიდრე ძველი რუსული სკოლის!

ქართული სკოლის მეთოდის დახასიათება შეიძლება ერთი სიტყვით: სქოლასტიკა.

აკითხვინებენ, აზეპირებინებენ და აწერინებენ!

საშუალო საუკუნეთა სკოლის მეთოდიც ასეთი არ იყო?!

გიმნაზიაში მეხუთე კლასიდან მერვე კლასამდე თითქმის სრულიად გამოტოვებულია ბუნების მეტყველება.

ასწავლიან ფიზიკას და არ ასწავლიან ქიმიას!

როგორ უნდა გაიგოს მოწაფემ, რა არის ელექტრული ელემენტი?

როგორ გაიგოს მან, როგორ ჩნდებიან დანიელის ელემენტში ელექტრული დინების შედეგნი—წყალმბადი და ჟანგმბადი ან რა მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, გოგირდმჟავას ამ პროცესში?

როგორ გაიგოს მან, რისაგან იშობება სითბო, ელექტრული ენერგია, სინათლე და სხ., თუ არ იცის, რა არის ქიმიური ენერგია?!

მაშასადამე ფიზიკის სწავლება, როცა ქიმიას არ ასწავლიან, თითქმის უნაყოფოა, უშედეგოა.

ზოოლოგიასა და ბოტანიკას მხოლოდ მეოთხე კლასამდის ასწავლიან და, ცხადია, ასწავლიან მხოლოდ გარეგანს აღწერილობითს მხარეს.

და, ვინც უფროსი კლასების მოწაფეებს იცნობს, დამემოწმება, რომ მათ არა იციან-რა შინაგანი ანაგების ანუ ანატომიისა და ჰისტოლოგიის.

რაც შეეხება ფიზიოლოგიას, ეს საგანი ხომ სრული ტერრა ინკოგნიტაა (უნახველი ქვეყანა) მათთვის.

და მოწაფემ, რომელსაც სიმწიფის მოწმობა ეძლევა, არ იცის, როგორ სუნთქამს სხეული, როგორ ინელებს საჭმელს, როგორ წარმოობს ნივთიერებათა და სითბოს ფიზიოლოგიური მიმოცვლა და სხვ.

არ ასწავლიან გეოლოგიასა და მინერალოგიას, ფიზიკურ გეოგრაფიას და სხვ.

რას-ღა ასწავლიან? ისტორიას, ლიტერატურასა და ენებს.

გამორიცხულია ლათინური და ბერძნული, თვინიერ რომელთა საქართველოს უძველესი დროის შესწავლა შეუძლებელია.

მაგრამ, თუ გნებავთ, ჰო, მოსწავლე მეტისმეტი სქოლასტიური საგნით არ უნდა იყოს დატვირთული.

მაგრამ მაშინ რისთვის აქვს დათმობილი ამდენი გაკვეთილი ისტორიას, ლიტერატურასა და ენებს?!.

მაშასადამე სასწავლო საგანთა განაწილებაში წონასწორობაა დარღვეული.

რა საჭიროა ამდენი ენა და ამდენი ისტორია?!

რასაკვირველია, არაა საჭირო! პირიქით, პედაგოგიური პრინციპი სქოლასტიური ნაწილის შემცირებასა და მის ნაცვლად საბუნებისმეტყველო ნაწილის გაძლიერებას მოითხოვს.

რეალური ცოდნა, ე. ი. ბუნებისმეტყველება, აი რა უნდა ედვას საფუძვლად აღზრდას.

ჯერ ერთი, მხოლოდ ბუნებისმეტყველება აქეზებს მოწაფის თვითმოქმედებას.

მეორე, მხოლოდ ბუნებისმეტყველება სწრთვნის ლოღიკურ დისციპლინას.

მეოთხე, მხოლოდ ბუნებისმეტყველება ხდის ფარდას უცნობსა და აცხადებს მოვლინებათა ურთი-ერთშორისობის წესს, რიგს, კანონ შესაბამობას.

მეხუთე, არაფერი არ ახალისებს, არ აქეზებს ისე მოწაფის ცნობის მოყვარეობას, როგორც ბუნებისმეტყველება.

მაშასადამე, ბუნებისმეტყველების სწავლება სკოლაში სიცოცხლისა და სიხალისეს შეიტანს და სკოლის ატმოსფერას სხოლასტიკის მიერ შექმნილი სიმკვდარისაგან განათავისუფლებს.

მეექვსე, არაფერი არ განავითარებს ხელოვნებით შემოქმედებას ისე, როგორც ბუნებისმეტყველება.

ბუნება—სიბრძნის წიგნია, რომლის წაკითხვაც ასაზრდოებს, აწკობს და ამოქმედებს გონებასა და გრძნობას, მეცნიერებითსა და ხელოვნებით დისციპლინას.

მეშვიდე, ისტორიის შესწავლა თვინიერ ბუნებისმეტყველებისა არ შეიძლება, ვინაიდან ისტორია ბუნებისმეტყველების მიერ შექმნილი კულტურისა და განათლების თანდათანობითი ზრდაა.

მერვე, ბუნებისმეტყველებასთან მჭიდროდ გადაბმულია სამეწარმოქმედო და სამრეწველო ტეხნიკის განვითარება.

და, მეცხრე, ბუნებისმეტყველება ის იარაღია, რომლის საშუალებითაც ამალდენ ევროპისა და ამერიკის დაწინაურებული ქვეყნები და მაშასადამე უმთავრესი საშუალებაა ძლიერ საერთაშორისო ბრძოლაში გამარჯვებისათვის.

მაშასადამე, ბუნებისმეტყველებას აქვს მნიშვნელობა ერთსა და იმავე დროს გონებრივის, ხელოვნებითის, ზნეობრივის, კულტურულის-ტეხნიკურის, ეკონომიურის, პოლიტიკურისა და ეროვნული წარმატებისათვის.

და საერთაშორისო ბრძოლის ეს თითქმის ერთად-ერთი იარაღი ქართულ სკოლაში დაჩაგრულია.

მისი ბედი ისეთივეა, როგორიც იყო რუსთა ბატონობის დროს!

არავითარი განსხვავება არ არის ამ მხრით ძველსა და ახალ დროს შორის.

და ეს—მიუტევებელი ცოდვაა, უმეტესი, ვიდრე რომელიმე ცუდი ფინანსიურ-ეკონომიური დეკრეტი.

ფინანსიურისა და ეკონომიური კანონიერების და დეკრეტების გამოცვლა ადვილია. არ ცოდნის შეცვლა ცოდნით კი ძნელია.

საკანონმდებლო მუშაობა ცვალებადია. მოწამლული სულის განახლება კი შეუძლებელია.

დიაღ! ცუდად არის საქმე: ქართულ სკოლაში მოწაფის სული იჩაგრება, იწამლება.

განმაცოცხლებელმა სიომ შმორიანი ატმოსფერა ვერ გაანიავა! ვაი მოწაფეების ბრალი!

ერთი დიდი ნაკლიც უნდა აღვნიშნო.

ქართული სკოლიდან ისე, როგორც ძველი რეჟიმის სკოლიდან, სრულიად განდევნილია ფიზიკური მუშაობა.

მართალია, შემოღებულია გიმნასტიური ვარჯიშობა.

მაგრამ, ჯერ ერთი, გიმნასტიკას კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი აქვს დათმობილი.

ფიზიკურ ვარჯიშობას კი მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც სისტემატიურად წარმოობს.

ფიზიკური ვარჯიშობა ერთის ანუ ნახევარი საათის განმავლობაში მაინც აუცილებელია.

შრომის ჰიგიენა ამბობს: ფიზიკური ვარჯიშობა გონებრივი მუშაობის შემდეგ უნდა წარმოობდეს, ვინაიდან

ლანძღული ჰყავდა მაისში ხიდორელ-ბერაძეების საქმეზე.

ხალხმა კარგათ იცის, რომ ის არ უყვარს საჩხერის ს.-დემოკრატიულ პარტიის ზოგიერთ წევრებს, რომელთაც სიყალბე დაუმტკიცა, როდესაც გუჯეჯიანმა სასურსათო კომიტეტიდგან 11 კაცი დაათხოვნია.

ისიც იცის ხალხმა, რომ გუჯეჯიანმა სამ საზოგადოებაში დაამარცხა ს.-დემოკრატები და ეროვნულ დემ. პარტიას მიანიჭა გამარჯვება.

ხალხმა ისიც იცის, რომ არჩევნების დროს გუჯეჯიანმა სიყალბეში დაიჭირა პირველის ყუთის ს.-დემოკრატების მეთვალყურე აბაშიძე და მოითხოვა მისი პასუხისგებაში მიცემა. ამით გუჯეჯიანი ასაბუთებდა იმ ყალბ ტაქტიკას ს.-დემოკრ. რაც ყოველ არჩევნებზე მეორდებოდა.

ეს ყოველივე გულზე დაიხვიეს მის მოწინააღმდეგეებმა და მოხერხებულად საფრთხეში ჩააგდეს და უკანონოდ, სრულიად უსაფუძვლოდ, ცრუ მოწმეთა ჩვენებით მისცეს საველე სასამართლოს.

ხალხმა ეს ყოველივე იცის და გუჯეჯიანიც ამით უნდა დაკმაყოფილდეს. და მას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ხალხის უმრავლესობა მასთან არის და მის დათესილი თესლიც მალე დაჯეჯილდება.

უკანასკნელად როდესაც გუჯეჯიანი საჩხერეში დაჭერილი ჰყავდათ, გუჯეჯიანის ოჯახში მარტო 6 წლის ბავშვი იყო, ს. გოცაძე კიდევ ეწვია მის ოჯახს და წამოიღო კომიტეტის ბეჭედი.

ალბად ის დარწმუნებულია, რომ ამით სულ ბოლო მოუღო ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ ს. გოცაძე ძლიერ ცდება და ამას მომავალი აჩვენებს.

გუჯეჯიანის წინააღმდეგ ყალბი ჩვენებები, გოცაძის ნაკარნახევი რომ არის, იქიდან სჩანს, რომ გოცაძეს ჰგონია თუ როგორც ზესტაფონში, ისე საჩხერეში იციან პარასკეობა ე. ი. ბაზრობა. არც ის იცოდა გოცაძემ, რომ ამ ბოლო ოქტომბერს გუჯეჯიანი არ იყო საჩხერეში 18 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე გუჯეჯიანი იყო ქ. ქუთაისში, რასაც გუჯეჯიანი ოფიციალურად დაამტკიცებდა, რომ მისთვის ამის საშუალება მიეცათ.

გოცაძის მოწმეები აჩვენებენ:

1) დარისპან ზაბახიძე: „ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, გ. გუჯეჯიანი პარასკეობა დღეს დ. საჩხერეში ელაპარაკებოდა ხალხს. ერთი ჯგუფიდან მეორეზე გადადიოდა, მეორედან მესამეზე და ეუბნებოდა: ჩვენმა მთავრობამ დაგვღუპა, ის მატყუარაა, მთავრობაში ჯიბგირები და ყაჩაღები გვყავს, ისინი თავის ჯიბეზე მეტს ზრუნავენ და გაივსებენ რა ჯიბეს გაიქცევიან საზღვარ გარეთ, როგორც ეს 1905 წ. მოიმოქმედეს.

2) მოწმე ივლიან შუკაკიძე: ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გ. გუჯეჯიანი ხვდება ორმოცამდე მეურმეს ტყეში შეშაზე მიმავალს და ეკითხება: „სად მიხვალთ თქვე ვირებო. ხომ ხედავთ ჩვენმა მთავრობამ დაგიკავათ მთა-ტყე. მთავრობას ტყე ვინ მისცა. ტყე ხალხის არის, ეხლა ტყე დაგიბექდათ, აწი სულ ტყავს გაგაძრობსთ, გასაქანს არ მოგცემთო. ეხლა ჩვენ მთავრობას არაფერი არ შეუძლია თუ თქვენ მოინდომებთ და ჯოხებით და ნაჯახებით შუტევთ მას, ის დაემხობა და მისგან განთავისუფლდებითო.

სუსტი მასწავლებელი ჯერ თვითონ უნდა მოემზადოს და მერე უნდა გადასცეს თავის მოწაფეს და გოცაძეც ასე უნდა მოქცეულიყო: ჯერ უნდა გაეგო საჩხერეში პარასკეობა იცოდენ თუ არა და აგრეთვე ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გუჯეჯიანი იყო საჩხერეში თუ არა და მერე ეკარნახებინა მის ნაშოვნ ცრუ მოწმეებისთვის სიცრუე ასე მწყობრად.

გუჯეჯიანის წინააღმდეგ ასეთი მოქცევა გოცაძისა და მის ამხანაგებისაგან პირველი არ არის. წრეულს არჩევნების წინ ის დააჭერეს და ქუთაისში წაიყვანეს. შარშან კი მათ უნდოდათ არჩევნების დროს მისი მოშორება საჩხერიდან და მაშინაც ცრუ ჩვენების შეკრება უნდოდათ. ვანიჩკა ვაშაძე სწორედ იმისთვის გალახეს, რომ მან ვერ ათქმევინეს ის, რაც მათ სურდათ. ამის შესახებ ოქმებიც იყო შემდგარი.

აი ასეთი საბუთების მიხედვით მისცეს საველე სამართალში გიორგი გუჯეჯიანი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ კაცის მკვლელობისათვის და ქურდობისთვისა ღირსება ახდილ და საზოგადოების თვალში სახელ გატეხილ პირების ჩვენებას ვინმე ნდობით მოეპყროს. ხალხს არ დაუკარგავს იმედი, რომ გუჯეჯიანის ასე უდანაშაულოდ დამსჯელნი პასუხს აგებენ კანონისა და ხალხის წინაშე.

ნესტორ ვაშაძე.

მოხალისენი და ამიერ-კავკასია

(ინტერვიუ გაზ. „საქართველოსთვის“)

ის ცნობები, რომელთაც დღემდე ვიღებდით მოხალისეთა სარდლობის დამოკიდებულების შესახებ საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან,—მერყევი შინაარსისა იყო და ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგიც. პ. თუმანიშვილის საუბარი მოხალისეთა პრეს ბიუროს უფროსთან პროფესორ პლეტნევთან,—რომელიც ქვემოდ მოგვყავს,—უფრო ავტორიტეტულ და სწორ ცნობებს შეიცავს; პროფესორი პლეტნევი მოხალისეებთან დაახლოვებული პირია და ამავე დროს დაინტერესებული; მან კარგად იცის შინაარსი რუსეთის მაძიებელთა ამიერკავკასიასთან დიდი რუსეთის დამოკიდებულებისა, რომელნიც დღეს თურმე „რამეს რასმე სთმობენ.“ როსტოვიდან ეხლახან ჩამოსული პ. გ. თუმანიშვილის ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან შემდეგი შინაარსის საუბარი ჰქონდა:

როსტოვში მე საუბარი მქონდა მოხალისეთა სარდლობის განსაკუთრებულ სათათბიროს ინფორმაციულ განყოფილების უფროსთან და ცნობილი გაზეთის „ჟიზნი“-ს რედაქტორ ვ. დ. პლეტნევთან.

დამოკიდებულება საქართველოსთან

მე,—სთქვა თუმანიშვილმა, „შევეკითხე პროფესორს თუ რანაირია მოხალისეთა სარდლობის ხელმძღვანელთა და რუსულ საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოსთან. პროფესორმა გამაფრთხილა წინასწარ, რომ ის მიპასუხებს სრულებით გულწრფელად და ამავე დროს ილაპარაკებს, როგორც რედაქტორი, რომლის აზრსაც მართებულ წრეებში ანგარიშს უწევენ.

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობასო მიპასუხა პროფესორმა,—ეს არის ისეთი რამ, რასაც შეუძლია რუსეთისა და საქართველოს ერთმეორესთან კეთილ მეზობლურად ცხოვრების დაბრკოლება.

ვ. დ. პლეტნევი პირადად სწავლობს საქართველოს, ლაპარაკობს აკადემიკოსს მარრზე და სხ. კარგად იცის რომ ქართველი ხალხი მეგობრულად და კარგ განწყობილობით უყურებს რუსეთის ხალხს და სხვანაირადაც არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ისტორია ზევრნაირად აერთებთ მათ უკანასკნელ საუკუნე ნახევარის განმავლობაში რელიგიით და კულტურით.

ეს ურთიერთი მეგობრობა ორივე ხალხისა—განაგრძობს ვ. დ. პლეტნოვი სრულიად საჭმაოა რუსეთისთვის დღევანდელ მომენტში, რაც შეეხება მომავალს, როდესაც დამყარდება მშვიდობიანობა, მაშინ საეჭვოა, რომ რუსეთმა სერიოზულად უარი სთქვას საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ეს თვით საქართველოს საქმეა. თუ საუკეთესო გზად თავის არსებობისა ის დაინახავს დამოუკიდებლობას—დაე იყოს დამოუკიდებელი. პირადად ვ. დ. პლეტნევი ჰფიქრობს, რომ დამოუკიდებლობა საქართველოსთვის მავნებელი იქნება ვიდრე სასარგებლო, თუნდა იმისთვის, რომ მას მოუხდება ჯარის ყოლა, მაგრამ ცხლა რასაკვირველია საქმე ამაში არ არი და „odium“ საქართველო რუსეთისთვის იქნება დღევანდელ მომენტში. ბოლოს და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობით კი არა, არამედ ორი მდგომარეობით, რომელზედაც რუსეთი ყოველ შემთხვევაში ვერ შეურიგდება და რომელიც ერთი მთავარი მიზეზთაგანია საზავო ტრაქტატის სხვა და სხვა საკითხებისა.

ბათომის ოლქი.

პირველი ასეთი მდგომარეობა არის შექმნილი ბათომის ოლქის გარშემო. ბათომის ნავთსადგური რუსეთისთვის წარმოადგენს ერთად-ერთ საჭიროებას. უარის თქმა მასზე მას არაგზით არ შეუძლიან. თ-დ თუმანიშვილის შეკითხვაზე, თუ როგორ ტერიტორიალურ ფარგლებში ფიქრობენ ბათომის ოლქის პრეტენდენტობას რუსეთი—ვ. დ. პლეტნევმა უპასუხა, რომ საკითხი არის მხოლოდ თვით ბათომზედ.

იმ საკითხებზე, თუ რა ფორმით სურთ დაუფლება ბათომის (კერძო თუ საერთო, porto-franco და სხვ.), ვ. პლეტნევმა განაცხადა, რომ ამის შესახებ საკითხი საეჭვოა დაისვას ულტიმატუმის სახით და მფლობელობის ფორმა შეიძლება შეუთანხმდებული იქმნას თვით საქართველოს თანხმობითაც.

დამოკიდებულება აზერბაიჯანთან

მეორე გარემოება. – აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანის პოლიტიკა,—სთქვა ვ. პლეტნევმა, სულ მთლად განისაზღვრება პანთურქულ პოლიტიკით, რომელსაც ოსმალეთი უკარნახებს. ამისთვის ადვილად გასაგებია, რომ ყოველნაირი მოლაპარაკებანი მეგობრობისა და დროებით დახმარების შესახებ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, ისტორიულად არა ბუნებრივია უკანასკნელისთვის, ხოლო რუსეთისთვის არი სამტრო, და მით უფრო, რომ აზერბაიჯანის საზღვრებში შედის ბაქო, ურომლისოდაც რუსეთს არ ძალუძს ცხოვრება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 35 პროც. რუსულ მრეწველობისა მოქმედობს ნავთით და იგივეა გასაზიდ საქონლის უმთავრესი საგანი, მით უმეტეს, რომ ბაქო და ბათუმი გადაბმული არიან ნავთის წარმოებით.

ყველა, ვინც კი ეცდება ამ ადგილების წართმევას რუსეთისთვის, იგი რუსეთის მოსისხლე მტერი იქნება.

თუ ამ საკითხებში—განაცხადა ვ. პლეტნევმა, საქართველო შეუთანხმდება რუსეთს, დანარჩენში, მისი ღრმა რწმენით, ორივე მხარე მორიგდება ერთნაირი დაკმაყოფილებით,

დასასრულ ჩვენ შევეძლიან დავუმატოთ, რომ ვ. პლეტნევი დარწმუნებულია მოხალისეთა საბოლოო გამარჯვებაში, ამასთან მან გამოსტოვა მომენტი. ჯერ საეჭვოა მოხალისეთა გამარჯვება ობიექტურ პირობების შექმნის გამო და მეორე კი მას ზერელე შეხედულობა აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. პატივცემული პროფესორი არ განმარტავს, თუ როგორ ჰფიქრობს საქართველოს დამოუკიდებლობის შეთავსებას თუ კი არა სცნობს მის შეკავშირებას მეზობლებთან (ომიანობის დროს აზერბაიჯანთან) და როგორ ფიქრობს ის სიტყვით კი არა, საქმით თუ კი საქართველოს დამოუკიდებლობა მოყვა რუსეთის კლანჭებში ბაქოსა და ბათუმის დაკარგვით, მაშინ რა ფასი უნდა ჰქონდეს ამ დამოუკიდებლობას?

ი. ქ.

უცხოეთი

რუსეთი

სამხედრო მიმოხილვა რადიოვესტნიკისა.

წითელი ჯარის მიერ ცარიცინის აღებას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. დენიკინელები ცარიცინიდან ტიხორეცკაიასკენ იხევენ. იმათ მარჯვენა ფლანგს შეეძლო გამაგრება მხოლოდ მაშინ, როცა ცარიცინი ეჭირა, მაგრამ მისი დაკარგვის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია დენიკინმა შესძლოს გამაგრება კავკასიის ველზე. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გზა კავკასიისკენ გახსნილია. ამ დღეებში ჩვენ გავარღვევთ როსტოვის ფრონტსაც და გაიხსნება გზა დასავლეთიდან.

ცარიცინის აღება.

სარატოვი იანვ. 3. ცნობები ცარიცინის აღების შესახებ. წითელმა ჯარმა ფიბენკოს ხელმძღვანელობით დაამარცხა რა მტრის მეოთხე ცხენოსანი პოლკი, ერთი ქვეითი დივიზია და ერთი კავკასიის ბრიგადა, შეუ-აქცია მტერი სოფ. ორლოვკის მიდამოებიდან და ღამით 2-3 იანვარს აიღო ქ. ცარიცინი.

ტაიგა. იან. 1. სადგურ ტაიგაზე მტერს დარჩა 78 ორთქლ-მავალი, 1.800 ვაგონი, 3 ჯავშნიანი მატარებელი და 20 შორს მსროლელი ზარბაზანი.

დენიკინის ფრონტების მდგომარეობა

ნიკოლაევსკიდან იუწყებიან: გენერ. დენიკინის მთავარ შტაბში მოწვეულ იქნა სპეციალური კონფერენცია. სხდომა გენ. დენიკის თავმჯდომარეობით ხდებოდა. მთავარი შტაბის უფროსმა აღწერა ფრონტების მდგომარეობა და სთქვა, რომ მდგომარეობა კვლავ სერიოზულია, მაგრამ მიუხედავად ამისა წითელი ჯარის შესახებ მიღებული ნამდვილი ცნობები იმედს გვაძლევს, რომ ბოლშევიკების გამარჯვება მხოლოდ დროულია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განცხადებამ ყველა რუს ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციების მოწვევის შესახებ. ამ პროექტს მხარს დაუჭერს მოკავშირეთა პოლიტიკური წრეებიც. ამ კონფერენციის მიზანი იქნება ყველა ანტიბოლშევიკური ძალების შეთანხმებული მოქმედება და საბოლოვო გამორკვევა რუსეთისა და ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ დამოკიდებულების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ რუსეთში მომქმედი უმაღლესი მხედრობა კვლავინდებურად განაგრძობს არასლავიანურ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას:... (შემდეგ დამახინჯებულია)...

ბავშვთა მდგომარეობა ევროპაში

ლიონი. დეკ. 30. ბავშვთა დამცველ საერთაშორისო ლიგის სხდომაზე მოხსენება წაიკითხეს ევროპაში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მეტად დამაფიქრებელ სურათს გვიხატავს. საფრანგეთში, ყოფილი ფრონტის მთელს რაიონში ბავშვები მოკლებულნი არიან რძეს. დენიკინის სამეფოში ბავშვებს არა აქვთ არც საჭმელი, არც ტანისამოსი, არც წამალი. ახალშობილ ბავშვებს ახვევენ ძონძებში, რის გამო იმათგან კვდება თითქმის 95 პროცენტი. ავსტრიაში ჰლექისა და უქმელობის ნიადაგზე ძრიელ გახშირდა მკვდრად დაბადებულ ბავშვთა რიცხვი. ვინც ცოცხლად იბადება ისიც დასნეულებულია რახიტითა და ჰლექით. უნგრეთში მშობლებიც და ახალშობილნიც სიცივითა და შიმშილით იხოცებიან. გერმანიაშიაც ბავშვების მდგომარეობა შემზარავია.

ახალი ამბები

მთავრობაში

თავმჯდომარის მოადგილე.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას გამგზავრების გამო მათ თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ბ-ნი გეგეჭკორი.

მისტერ ოლივერ უორდროპთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი სადარბაზოთ ბრძანდებოდა ბათომიდან დაბრუნების შემდეგ მისტერ ოლივერ უორდროპთან.

დონის ფულის ხმარების აკრძალვა.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბათომ გ. სამხედრო გუბერნატორის კუკ კოლლისის განკარგულებით 7 იანვრიდან ბათომში და მის ოლქში დონის ფულების ნიშნების შეტანა აკრძალულია კონფისკაციის შიშის ქვეშ.

სასოფლო მეურნეობა

ჟურნალის დაარსება.

მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის საბჭომ დაადგინა ვინაიდან ხალხში მევენახეობა მეღვინეობის ცოდნის გავრცელება დიდ საჭიროებას წარმოადგენს და აგრეთვე აუცილებელია ხალხს ეძლიოს რაც შეიძლება ხშირად სხვა და სხვა [illegible] ნიშნულ დარგში, დაარსებულ იქმნას ყოველ-კვირეული პრაქტიკული და პოპულარული ჟურნალი რომლით სარგებლობა შეეძლოს ფართო მასსას.

ფასები შაბიამანზე

ამავე საბჭომ დაადგინა დეკემბრის საბჭოს წევრს გ. წინამძღვარიშვილს შაბიამან-გოგირდზე ფასების მომატების შესახებ შესაფერი მოხსენებით წარუდგის მ. მთავრობის თავმჯდომარეს საბჭოს თავმჯდომარე ი. ზ. ანდრონიკაშვილთან ერთად.

აგრარული კანონმდებლობა

ასლი ი. გ. ჯორჯაძის განცხადებისა არსებულ კანონმდებლობის შესახებ გადეცემის სრულიად საქართველოს აგრონომიულ მოღვაწეთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს.

სხვა და სხვა ამბები

მასწავლებელთა ყრილობა.

საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობა გაიხსნება 8 იანვარს, დღის 12 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში. ყრილობას გახსნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. შემდეგ ყრილობას მიესალმებიან სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. შემდეგ ამისა მოხდება ყრილობის პრეზიდიუმის და სათანადო კომისიების არჩევნები. პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთა ბინა ექნებათ მე-6 ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. № 6 მიქმართეთ დავით პარკაძეს).

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკების წინსვლა.

კრასნოვოდსკიდან იტყობინებიან რომ კრასნოვოდსკის ფრონტზე სრული მობილიზაცია გამოცხადდა. ბრძანება გასცა გლავკომმა კაზანოვიჩმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლის შესახებ. ჯებელის აღების შემდეგ რომელიც წყალს აწვდიდა კრასნოვოდსკს ბოლშევიკები მოუახლოვდენ ამ ქალაქს 80 ვერსზე. მდგომარეობა კრიტიკულია.

მოხალისეთა ფრონტის დაშლა.

გამოქვეყნებულია გენ. ვრანგელის შემდეგი ბრძანება: „მუდმივმა ომებმა არმიის შესავსებად ვუბრძანებ: მოისპოს ყოველივე მოვლინებანი. ყველა მოვლინებულნი დაბრუნდნენ ნაწილებში. შემადგენლობა მეტად შეამცირეს, არმიის შტატ-გარეშე მყოფთ ვუბრძანებ სამწყობრო ნაწილებში დაბრუნდნენ. დაუყოვნებლივ გაუქმდეს სალაშქრო მატარებლები, საწყობები, ბაზები და სხ. ბრძანება ესე ჩათვლილ იქმნას ჩემს სამხედრო განკარგულებად, ფრონტის დაშლასთან საბრძოლველად. ვაფრთხილებ ყველას, რომ არვინ იქნება შენდობილი, მიუხედავად მისი დამსახურებისა.

როსტოვის კომენდანტის ბრძანება.

ვბრძანებ 6 ქრისტეშ. დაუყონებლივ დაუბრუნდნენ თავის ნაწილებს აფიცრები, მოხელენი, ექიმები, ჯარისკაცები მოხალისეთა არმიისა, რომელნიც იყვნენ მოვლინებულნი ქ. ქ. როსტოვს და ნახჩევანს.

არავითარი პროტექცია, ან გამონაკლისი არას გზით არ იქნება დაშვებული.

6 ქრისტეშ. შემდეგ შეპყრობილნი სამხ. საველე სასამართლოს გადაეცემიან.

გონებრივი მუშაობა ფიზიკური ვარჯიშობის შემდეგ—ძნელია.

მართალია, როდესაც მოწაფე იღვიძებს, სისხლის ამოძრავება სჭირდება.

გაღვიძების დროს ის უნებურად იზმორება, რომ ვენებში შეკრებილი დაგუბებული სისხლი გარეკოს.

მაშასადამე, დილას მხატე გიმნაზისტიკა, გაქცევა, სუბუქი მუშაობა—საჭიროა.

მაგრამ ამ დროს ფიზიკური მუშაობა ხანმოკლე და სუბუქი უნდა იყოს.

მცირე ფიზიკურ მუშაობას კი თან უნდა მისდევდეს გონებრივი მუშაობა.

მაგრამ ერთს ადგილზე ჯდომა 40 წამის განმავლობაში კვლავ აგუბებს ვენებში სისხლს. მაშასადამე, საჭიროა რეკრეაციები, რომელთა დროსაც მოწაფემ კვლავ უნდა აწარმოოს სუბუქი ფიზიკური ვარჯიშობა: სირბილი ანუ სუბუქი შრომა.

დასასრულ, ოთხი საათის მძიმე გონებრივი მუშაობის შემდეგ მოწაფემ უნდა აწარმოოს ენერგიული ფიზიკური ვარჯიშობა, გერმანული გიმნასტიკა, ბურთაობა ან სხ. ანუ ენერგიული ფიზიკური მუშაობა.

რასაკვირველია, იმ დღეს, რა დღესაც გიმნასტიკა იქნება, ფიზიკურ მუშაობას არ უნდა ექნეს ადგილი.

რომელი უკეთესია? ფიზიკური მუშაობა თუ გიმნასტიკა?

— თვითეულს თავისი დანიშნულება აქვს.

გიმნასტიკა სწვრთნის ენერგიის ერთად შეკრებისა და მოხმარების უნარს, ზრდის მაშასადამე მამაცობას.

ფიზიკური მუშაობა კი სწვრთნის შემოქმედებითს ნიჭს.

იმავე დროს ფიზიკური მუშაობა უფრო სწრთვნის მედგრობას. და სიმჯიდეს, ვიდრე გიმნასტიკა.

ერთი სიტყვით, გიმნასტიკა ზრდის მეომარს, ფიზიკური შრომა კი—მუშას.

მაშასადამე ორივე გვარი ვარჯიშობა საჭირო და აუცილებელია.

მაგრამ ფიზიკური მუშაობის უპირატესობა—ცხადია და მაშასადამე გიმნასტიკას თუ კვირაში ორი დღე უნდა დაეთმოს, ფიზიკურ მუშაობას—ოთხი დღე.

და ეს უპირატესობა მით უფრო სამართლიანია, რომ ჯანმთელობისათვის ფიზიკურ მუშაობას მეტი მნიშვნელობა აქვს: ფიზიკური მუშაობა უფრო ზომიერია, და დროს განმავლობაში თანაბარი, თანასწორი და თან უფრო ხანგრძლივი, მაშასადამე უფრო ნორმალური და ფიზიოლოგიურად შესაბამი ვარჯიშობაა.

მაშასადამე ფიზიკური ვარჯიშობა უფრო ჰარმონიულად სწვრთნის მუსკულებსა და მეტი სისწორით ამუშავებს გულსა და ფილტვებს, ე. ი. უფრო არ ქანცავს, უფრო ნორმალურად ამოძრავებს გულისა და სუნთქვის მუსკულებსა და უკეთ სწმენდს სისხლს ნივთიერებათა ფიზიოლოგიური მიმოცვლის მიერ წარმოშობილ და სხეულში დაგროვებულ მავნებელ შედეგთაგან.

მაშასადამე გაკვეთილების შემდეგ კვირაში ორ დღეს გიმნასტიკა და ოთხს დღეს მუშაობა ფიზიკური ვარჯიშობა, ერთის ანუ ნახევარი საათის განმავლობაში -სავალდებულო უნდა იყოს.

როგორი უნდა იყოს ფიზიკური ვარჯიშობა? ზამთარ—ხელოსნობა, ზაფხულ—ბარვა და თოხნა ან ბუნების შესაფერი მუშაობა.

რასაკვირველია, გიმნასტიკა და მუშაობა უნდა წარმოებდეს კარგს ჰიგიენურს პირობებში ე. ი. კარგად განიავებულს დარბაზებში ან, როცა შესაძლებელია გარეთ.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რა შედეგი მოსდევს ფიზიკურს არ ვარჯიშობას: ერთის მხრით, ნებისყოფის სისუსტე და, მაშასადამე, ზნეობრივი მერყეობა, მეორე მხრით, ნერვებიანობა, ტემპერამენტის დაუდგრომელობა, ავჭუნებიანობა და, მესამე მხრით სისხლნაკლულობა, შრომის უნარის მოკლება და ნაადრევი სიბერე.

მაშასადამე ქართული სკოლა მოწაფეში სიცოცხლის ენერგიასა ჰკლავს!

დასასრულ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს სკოლიდან მუსიკის გაძევება.

საჭიროა, მუსიკას კვირაში ერთი გაკვეთილი მაინც ჰქონდეს დათმობილი.

მოწაფემ უნდა იცოდეს ნოტების კითხვა ისე, როგორც წიგნის; უნდა იცოდეს აგრეთვე ვინ რომელი მუსიკის შემქმნელი იყო.

უნდა იცოდეს იმავე დროს მცირეოდნად მაინც სამუსიკო ორგანოზე დაკვრა და სიმღერა.

და მუსიკის სწავლება მერვე კლასამდის არ უნდა შეწყდებოდეს!

შეიძლება ვინმემ იკითხოს: რა საჭიროა მუსიკაო? აი რად,

მუსიკა აკეთილშობილებს, ადამიანებს ადამიანს.

მუსიკა—ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო საშვალებაა

იმავ დროს მუსიკა ამხნევებს ცხოვრებისაგან დაჩაგრულსა და დაბეჩავებულს.

მაშ მუსიკა იგივეა, რაც მორალი და სარწმუნოება, ერთად შეზავებული.

იმავე დროს მუსიკა ხელოვნებაა, რომლის საშუალებითაც ადამიანის სული გამოუთქმელს, საიდუმლო გულისთქმათა და გრძნობათა სწვდება და ცნობილობს.

დასასრულ მუსიკა ის უებარი საშუალებაა, რომელიც სააქაო ჭირვარამისა და მწარე ფიქრებისაგან გვათავისუფლებს და ამ ცოდვილ ქვეყანაზე სამოთხეს მოგვივლინებს, წუთიერ ნეტარებას გამოგვაცდევინებს.

მეტადრე საქართველოში, ჩვენს ზომიერ ჰავაში და მოწმენდილის მზიური ცის ქვეშ მუსიკა—სულიერი მოთხოვნილებაა.

ქართველი დაბადებიდან სიკვდილამდის მომღერალია.

„იგივ მხნე, იგივ მღერალი“, ამბობს პოეტი.

მიმოვლეთ საქართველო გურიიდან კახეთამდის და დარწმუნდებით, რომ სიმღერა—ქართველის ბუნებაა.

გურულის ცოცხალი შელოდიები, ზემო იმერელის ნაზი, გულიდან აღმომხდენი მუშური, რაჭველისა და სვანის საგმირო სიმღერები, ქართლელის ლირიზმით სავსე ურმული, კახელის კლასიკური, შემაცოცხის გამომთქმელი „მრავალჟამიერი“, „სუფრული“ და სხ.

ქართული სკოლიდან განდევნილი უნდა იქნენ?!

და ძველი იმერული ძლისპირნი, მომხიბლავი საეკლესიო საგალობლები, რომელნიც ჰლაშის სრულიად გაჰქრენ, დავიწყებულ უნდა იქნენ?!

წინაპართაგან ნაანდერძევი სულიერი განძი, ჩვენამდის ხელუხლებლად მოტანილი, ხალხის მუსიკალური გენიის მიერ შექმნილი, და ხალხის დღევანდელი მუსიკალური შემოქმედების ნაყოფი ქართული სკოლისთვის უცხო უნდა იყოს?! ეს, რასაკვირველია, დიდი ცოდვაა!

ნუ თუ ქართული სკოლა ვერ განახლდება?! ნუ თუ დამოუკიდებლობის სულმა სკოლას ახალი სიცოცხლის სული ვერ უნდა შთაბეროს?! ნუ თუ ქართულ სკოლას ბედად უსიცოცხლობა უწერია?!

არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომასთან ერთად სკოლაც მკვდრეთით არ აღდგება და არ განახლდება.

მაშინ კი ქართულ სკოლას ახლანდელს სკოლასთან საერთო არა ექნება-რა.

ვასილ წერეთელი.

სასოფლო მეურნეობა

საქარის სანერგე და მომავალი მისი დანიშნულება

წელს სრულდება თითქმის 30 წელიწადი მას აქეთ, რაც კავკასიის ყოფილ საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით და ცნობილ აგრონომის დღეს ჩეტარ ხსენებული ვლად. ალექ. სტაროსელსკის ინიციატივით და ხელმძღვანელობით სოფ. საქარის ახლო, 2 ნახ. ვერსის მანძილზე დ. ზესტაფონიდან, გამართულ იქმნა საწყობი ფილოქსერის წინაამდეგ სახმარ სადეზინფექციო მასალებისა და იარაღებისა.

შემდეგ 1891 წ. იქვე საწყობთან 277 კვადრატულ საჟენ გადაბრუნებულ მიწაზე დათესილ იქმნა სხვა და სხვა ჯიში ამერიკულ ვაზებისა. იმავე წელს აშენებულ იქმნა ხის პატარა სახლი ლაბარატორიის მოსაწყობად და ასე ამგვარად ჩაეყარა საფუძველი იმ დაწესებულების, რომელსაც დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, როგორც ვენახების გამანადგურებელ სენის ფილოქსერის წინაამდეგ ბრძოლაში, აგრეთვე საზოგადოთ მევენახეობის აღორძინებისა და მევენახეობის ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში.

როგორც მოგეხსენებათ მეოთხმოცე წლების დასაწყისში ფილოქსერა ისეთი სისწრაფით მოედო დასავლეთ საქართველოს, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მემამულენი სპობდნენ თავიანთ ვენახებს და მის ალაგას სთესავდნენ სიმინდს. შველა არსაიდან სჩანდა. უცხოელი მეცნიერები და სპეციალისტები იმ აზრის იყვნენ, რომ დასავლეთი საქართველო სამუდამოთ უნდა გამოსთხოვებოდა მევენახეობას, მეურნეობის ამ უმაღლეს კულტურას და მის მაგიერ ხელი მიეყოთ ბჟოლის, გვირილისა და სხვა ასეთი მცენარეების გაშენებას. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ, უცხო მეცნიერების წინასწარმეტყველება არ გამართლდა და შესაძლებელი შეიქმნა განადგურებული ვენახების აღორძინება ამერიკულ ვაზზე ადგილობრივი ჯიშის ვაზის დამყნის საშუალებით.

აი ასეთი რადიკალური საშუალებით ფილოქსერასთან საბრძოლველად გამოვიდა საქარის სანერგე. 1896 წლიდან ეს დაწესებულება მხნე მეთაურის ხელმძღვანელობით ენერგიულად შეუდგა როგორც სიტყვიერი პროპაგანდით, აგრეთვე საცდელ საჩვენებელი ვენახების საშუალებით ხალხში ნამყენების დამზადების ტეხნიკისა და კულტურულ მევენახეობის ცოდნის გავრცელებას.

თუ რა როლი ითამაშა საქარის სანერგემ მევენახეობის აღორძინების საქმეში ამას შემდეგი ციფრები გვიჩვენებს: 1915 წლამდე, ე. ი. 19 წლ. განმავლობაში საქარის სანერგეს მიუწოდებია მევენახეობისათვის 9,993,429 მეტრი ამერიკულ ვაზისა, ლერწმისა 504,086 მეტრი გასამრავლებელი ლერწმისა და 622,981 დამზადებული ნამყენი.

მევენახეობის გასავრცელებლად და ამ კულტურის უფრო მკვიდრსა და პრაქტიკულ ნიადაგზე დასაყენებლად სანერგე ხელს უწყობდა კერძო ინიციატივის განვითარებას, მართავდა როგორც თვით სანერგეში, აგრეთვე სოფლებში მოკლე - ვადიან კურსებს და საუბრებს, რომლებზედაც მსმენელი ეცნობოდა საზოგადოთ მევენახეობის ტეხნიკას, როგორც ნამყენების დამზადებას, ვენახის დარგვას, გასხლვას ვაზის სხვადასხვა გვარ ავადმყოფობას, მათ წინაამდეგ შაბიამნისა და გოგირდის ხმარებას და სხვა. ამ კურსებზედ ესწრებოდნენ გარდა მევენახეობისა, აგრეთვე სახალხო სკოლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა და თბილისისა და ქუთაისის საბაღოსნო სკოლების მოწაფენი.

1898 წ. საქარის სანერგესთან დაარსებულ იქმნა სავარჯიშო სკოლა მევენახეობის და მეღვინეობისა, რომლის მიზანია მიაწოდოს სოფელს საკმაოდ გაწვრთნილი კულტურული მევენახე. ამ პატარა სკოლამ, რომელმაც დღემდის 150 პრაქტიკულად გაწვრთნილი და თეორეტიულადაც საკმაოდ მომზადებული მუშა-მევენახე მისცა ჩვენს სოფელს არა ნაკლებათ შეუწყო ხელი მევენახეობის აღორძინებას საქართველოში.

ხშირად შეხვდებით დასავლეთ საქართველოში—განსაკუთრებით გურიაში, საქარის სანერგის სკოლაში კურს დამთავრებულ მეურნეს, რომელსაც საკუთარი სანერგე აქვს გაშენებული და აწვდის ხალხს ნამყენ ვენახებს და ხეხილებს.

რა ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა საქარის სანერგის მოღვაწეობას სჩანს იქიდან, რომ 1914 წელს, ე. ი. სანერგის დაარსების 24 წ. შემდეგ, ქუთაისის გუბერნიაში ირიცხებოდა 14,000 დესეტინა ამერიკულ ვაზზე ახლად გაშენებული ვენახი.

საქარის სანერგის მოქმედება განისაზღვრებოდა არა მარტო მით, რომ ის ხელს უწყობდა მევენახეობის აღორძინების საქმეს სანამყენე მასალების და ნამყენის გავრცელებით, კურსების და საუბრების გამართვით, სავარჯიშო სკოლის დაარსებით და სხვა ამგვარი პრაქტიკული ღონისძიებათა საშუალებით, სანერგის მოქმედების და მუშაობას ჰქონდა მასთან მრავალ მხრივ მეცნიერული ხასიათიც, რაც ანიჭებდა ამ დაწესებულებას მევენახეობისა და მეღვინეობის სადგურის მნიშვნელობას.

ასე მაგალითად სანერგესთან დაარსებული იყო:

1) ლაბარატორია ნიადაგების ქიმიური და ფიზიკო მექანიკური ანალიზებისათვის.

2) ენოქიმიური ლაბარატორია მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური განყოფილებით.

3) მუზეუმი ადგილობრივი და ამერიკულ ვაზების, სხვა და სხვა გვარი ნიადაგების ვენახების მავნე წერებისა და პარაზიტების, მინერალებისა, მთის ჯიშებისა და მრავალი სხვა ამგვარი კოლლექციებით.

4) ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 1200-მდე ტომს მევენახეობისა, მეღვინეობისა, საზოგადო მეურნეობისა და ბუნების მეტყველების დარგებიდან.

5) მეტეოროლოგიური სადგური მე-2 ხარისხისა და 1 კლასისა.

პერსონალი საქარის სანერგისა შესდგებოდა გამგესაგან, მის თანაშემწესა, ქიმიკოს-ნიადაგის გამომკვლევლისა, ქიმიკოს-მეღვინესა და მოგზაურ მებაღეთაგან.

მათი მუშაობის საგანს პირველხანს შეადგენდა დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ისტორიული პირობების შესწავლა და მევენახეობის დარგში სხვა და სხვა ცდების მოხდენა. შემდეგ როდესაც მევენახეობის აღორძინების საკითხი საკმაოდ იქმნა გამორკვეული სანერგის პერსონალი შეუდგა ადგილობრივი მევენახეობისა და მეღვინეობასთან დაკავშირებულ საკითხების გამოკვლევას და შესწავლას. ისე ამგვარად სავსებით გამორკვეულ იქმნა სანერგის მოქმედების პროგრამაში დასმული მრავალი საკითხი, მრავალიც მოითხოვს კიდევ დიდ შრომას და ხანგრძლივ ცდასა და დაკვირვებას. ასე მაგალითად;

1) დამთავრებულია შესწავლა ფილოქსერის განვითარების ციკლისა ქუთაისის გუბერნიის ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში.

2) გამორკვეულია, რომ ერთად ერთი საშვალებას ფილოქსერის წინაამდეგ შეადგენს ადგილობრივი ვაზის დამყნა ამერიკულ საძირეზე.

3) შესწავლილია ვაზის უმთავრესი ავადმყოფობანი და მათი წამლობის საკითხი.

4) საცდელი ვენახების საშუალებით რამდენიმეთ მაინც გამორკვეულია ამერიკულ ჯიშების ადაპტაციის საკითხი.

5) აღწერილია უმთავრესი ჯიშები დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადგილობრივ ვაზებისა.

6) ფიზიკო-მექანიკურად გამოკვლეულია ქუთაისისა და ნაწილობრივ თბილისის გუბერნიის ნიადაგები, და შედგენილია ქუთაისის გუბერნიის ნიადაგების სქემატიური რუკა.

7) ქიმიური გამოკვლევით რამდენიმედ მაინც გამორკვეულია ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივი ღვინოების ბუნება და მათი ქიმიური შემადგენლობა.

ზემოხსენებულიდან ცხადად სჩანს, რომ საქარის სანერგე არ კმაყოფილდებოდა მარტო იმ მცირე როლით, რომელიც მას, როგორც სანერგეს, ჰქონდა დაკისრებული, არამედ შეძლებისდაგვარად ასრულებდა აგრეთვე სამეცნიერო და საცდელ დაწესებულების დანიშნულებას. მაგრამ ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც საქარის სანერგე გადაეცა ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტს, ფართო პროგრამა სანერგის მოქმედებისა თან და თან იკვეცებოდა, ეხლა კი რევოლიუციის შემდეგ, როდესაც შტატი სპეციალისტებისა შემცირებულ იქმნა, სანერგის მოქმედება როგორც საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებისა სრულიად ჩადუნდა.

უკანასკნელ წლებში არა ერთხელ აღძრულა საკითხი როგორც ადგილობრივ აგრეთვე საოლქო თათბირებზე საქარის სანერგის მოქმედების მიმართულების შეცვლის შესახებ და ყოველგან ერთხმად იქმნა აღიარებული სანერგის მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურად გადაკეთების საჭიროება.

ასე მაგალითად 1913 წ. საქარის სანერგეში სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის უფროს სპეციალისტის ბ. ვიშერის თავმჯდომარეობით გამართულ იქმნა თათბირი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს გარდა საქარის სანერგის სპეციალისტებისა—სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორმა ტიმოფეევმა, სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის სპეციალისტმა დემენტიევმა და ქუთაისის საგუბერნიო აგრონომმა ვასილევსკიმ.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში წარსული მოღვაწეობა საქარის სანერგის და აგრეთვე ის გარემოება რომ სანერგეს უკვე აქვს საკმაო მორთული სამეცნიერო განყოფილებანი, როგორც ლაბარატორიები, მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სხვა, საჭიროდ სცნო გადაკეთებულ იქმნეს სანერგე მევენახეობისა და მეღვინეობის სადგურად. ასეთივე დადგენილება იქნა გამოტანილი ამიერკავკასიის და თურქესტანის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენლების თათბირზე ქ. თბილისში 1914 წელს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს საკითხი კიდევ ერთხელ იქნა წამოყენებული სამიწადმოქმედო სამინისტროს მიერ. მაისში ამა 1919 წ. საქარის სანერგეში სამინისტროს განკარგულებით შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ სამიწადმოქმედო სამინისტროს საბჭოს წევრი ტიმოფეევი და სასოფლო მეურნეობის ინსპექტორები როლოვი და ეგოროვი. ეს კომისიაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქარის სანერგე, რომელიც დღემდე რამოდენიმეთ ასრულებდა კიდეც სადგურის როლს, აუცილებლად გადაკეთებულ უნდა იქნეს მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურად. კომისიამ შეიმუშავა კიდეც სახელმძღვანელო ზოგადი პროგრამა სადგურის მომავალი მოქმედებისა და თავის მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენების სახით წარუდგინა სამიწადმოქმედო სამინისტროს.

გადავდივარ რა მომავალ სადგურის მოქმედების პროგრამის განხილვაზედ საჭიროდ ვსთვლი წარმოვიდგინოთ მხოლოდ სქემატიური ზოგადი გეგმა სადგურის მუშაობისა; რაც შეეხება დეტალურ გეგმებს—ასეთები დამუშავდება სასოფლო მეურნეობის განყოფილებასთან არსებულ საცდელ საქმეთა სექციაში სადგურის პერსონალის დახმარებით.

მომავალ სადგურის უახლოვეს საგანს შეადგენს დამთავრება იმ შრომებისა, რომელნიც მხოლოდ დაწყებულია ან ნახევრად არის დამუშავებული საქარის სანერგის მიერ. პროგრამის პირველ რიგში უნდა დაისვას ამერიკული ვაზების ადაპტაციის საკითხი. როგორც მოგეხსენებათ დასავლეთ საქართველოში საძირე მასალად ვრცელდება განსაკუთრებით Bupestris ot, რომელიც მძიმე ნესტიან თიხნარ მიწებისათვის ყოვლად უვარგისი გამოდგა, მაშინ როდესაც მჩატე და მშრალ ქვიშნარ მიწებისათვის ეს ჯიში, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. ამ საძირის გავრცელებაში დანაშაული მიუძღვის თვით საქარის სანერგეს, რომლის საცდელი ვენახები მწყობრი გეგმის უქონლობისა და მეთოდიკის დეფექტების გამო ვერ იძლეოდნენ დამაკმაყოფილებელ გამორკვეულ პასუხს დასმულ კითხვებზე.

ამის გამო ადაპტაციის საკითხი უნდა იქნეს ხელმეორედ გადასინჯული. დასავლეთ საქართველოში მევენახეობის სხვა და სხვა რაიონებში ტიპიურ ნიადაგებზე გაშენებული უნდა იქნეს საცდელი ვენახები საუკეთესო ჯიშის ადგილობრივი ვაზებსა დამყნილი ისეთ საძირეებზე, როგორც Pupestus du Lot Ripariat Rnbestr. 3309, 101-14, sehasselut Berlandieri Moprvedre Rupestus და სხვ. ნიადაგი, რომელზედაც საცდელი ვენახი იქნება გაშენებული, წინასწარ უნდა იქნეს გამოკვლეული როგორც მექანიკურად, აგრეთვე ქიმიურად.

გარდა ადაპტაციისა სადგურის პროგრამაში მევენახეობის დარგიდან შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. სიღრმე პლანტაჟისა ($\frac{1}{2}$, $\frac{3}{4}$ და 1 არშ.)

2. გასხვლა სხვა და სხვა წესით სხვა და სხვა ჯიშის ვენახებისა.

3. სასუქის ხმარება ვენახებში (ნეხვი, მინერალური და მწვანე სასუქი) და მისი გავლენა მოსავლის რაოდენობაზე და მის ღირსებაზე.

4. ვაზის სხვა და სხვა ავადმყოფობის შესწავლა და მათი წამლობა.

5. საამპელოგრაფიო კოლლექციის შესადგენად საჭიროა შეიკრიბოს საქართველოს ყოველ კუთხიდან ადგილობრივი ვაზის ჯიშები.

6. საჭიროა დამთავრდეს დასავლეთ საქართველოს ნიადაგების მექანიკური და ქიმიური გამოკვლევა და გამოიცეს რუკა ნიადაგების განმმარტებული აღწერილობით.

მეღვინეობის დარგში სადგურის პროგრამის პირველ რიგში უნდა დაისვას შემდეგი საკითხები:

1. გაგრძელება ადგილობრივი ღვინოების ქიმიური გამოკვლევისა მათი ნორმალური შემადგენლობის გამოსარკვევად.

2. კუპაჟების საკითხი.

3. ადგილობრივი ღვინოების ტიპების შექმნა.

4. ადგილობრივი ღვინოების სნეულებათა შესვლა და მათი წამლობა.

5. კულტურული წმინდა ჯიშის დედის გავლენის გამორკვევა ადგილობრივი ღვინოების ღირსებაზე.

6. ადგილობრივი ჯიშის კულტურული დედობის დამზადება და შესწავლა მათი თვისებისა.

7. ადგილობრივი მეღვინეობის პრიმიტიული ტეხნიკის გაუმჯობესების შესაძლებლობა სარდაფებისა და საზოგადოთ რაციონალური ტეხნიკის საშუალებით.

ყველა ამ ზემოხსენებული საკითხების დასამუშავებლად და გამოსარკვევლად სადგურს პირველ ყოვლისა დასჭირდება საცდელი და სამეცნიერო განყოფილებანი და მასთან შესაფერი პერსონალი. სამეცნიერო განყოფილებანი, ე. ი. ლაბორატორიები, სანერგესთან უკვე არსებობენ, საჭირო იქნება მხოლოდ მათი შევსება ინვენტარითა და რეაქტივებით. მევენახეობის დარგში ცდების მოსახდენად საჭიროა დაეთმოს სადგურს ახლო მდებარე საფონდო მიწებიდან ტიპიური როგორც მდებარეობით აგრეთვე ნიადაგის თვისებებით 19 დესეტინამდე საევენახე ალაგი, სადაც უნდა აშენდეს სარდაფი საცდელი ღვინოების მოსათავსებლად.

რაც შეეხება პირად შემადგენლობას—შეიძლება არსებული შტატი სანერგის პერსონალისა შევსებულ იქნას ამ პირველ ხანს ორი სპეციალისტით: ქიმიკოს-მეღვინით და ქიმიკოს ნიადაგის გამომკვლეველით. მიკოლოგის მოწვევა ამ თავითვე აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან ამ დარგს შეიძლება გაუძღვეს თბილისის ბოტანიკური ბაღი. ზემოხსენებული სპეციალისტებისთვის შესაფერი ბინა სანერგეში მოიპოვება.

ვათავებ რა ამით ამ ჩემს მოხსენებას გამოვსთქვამ იმედს, რომ სრულიად საქართველოს მევენახეთა პირველი კონგრესი სცნობს საქარის სანერგეს მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურად გადაკეთების აუცილებელ საჭიროებას და თავისი ავტორიტეტული დასტურით დააჩქარებს სადგურის დაარსებას და მით ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებასა და გაუმჯობესობას.

საქარის სანერგის გამგე **კ. მოდებაძე.**
14 ნოემბერი 1919 წელს.

კორესპოდენციები

თიანეთი.

ერობის ხმოსანთა პირველ ყრილობაზედ, სხვათა შორის, ერობის გამგეობას დაევალა მიეღო ყოფილი სამაზრო სასურსათო მაღაზიის ქონება და ვინაიდგან ამ მაღაზიის გამგეობის წევრებზედ ათასნაირი ხმები დადიოდა მათ ბოროტმოქმედებაზედ, დაწვრილებით გასცნობოდენ ყველა დავთრებს და აღმოჩენილი მოეხსენებიათ მომავალ ყრილობაზე, მაგრამ გამგეობას ხმოსანთა მეორე ყრილობაზედ ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს; მხოლოდ ეს კი არის, რომ რასაც არ მოველოდით მათის მხრით,—მათი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრის კომისარიატის რევიზიის მოხდენა მათ ვერ შესძლეს მოუცლელობის გამო, რადგანაც აწეწილ-დაწეწილი საქმეების გადასინჯვა,—მით უმეტეს ფულის ანგარიშის საბუთების უქონლობა და მათი მოწესრიგება მოითხოვდა თვეობით მუშაობას. მათი მოხსენებიდანვე გამოირკვა ისიც, რომ მაზრაში ქაღალდზე ირიცხებოდა 208 მილიციონერი, რომელთა ჯამაგირსაც იძლეოდა მთავრობა, ნამდვილად კი მსახურობდა 108 მილიც, სად მიდიოდა ზედმეტი ფული არავინ უწყის.

ეგეც არ ვიცით მართლა დრო არა ჰქონდა გამგეობას საანგარიშოთ თუ ამხანაგებს უფრთხილდებოდენ და ამით საქმეს აჩერებდნენ!. ასეთმა განცხადებამ ხმოსანთა შორის ცხარე კამათი გამოიწვია; სოც.-დემოკრ. მოითხოვდნენ კერძო მოანგარიშეს მოწვევას, რომელიც გამგეობის ხელმძღვანელობით მოახდენდა კომისარიატის რევიზიას, სხვა ფრაქციები კი მოითხოვდენ დანიშნულიყო ხმოსანთაგან განსაკუთრებული კომისია დამნაშავეთა აღმოსაჩენად, მაგრამ როგორც უმრავლესობამ, პირველმა სძლია დანარჩენებს და გადასწყდა სულ ახლო მომავალში მოანგარიშის მოწვევა. გამგეობის ასეთმა გულახდილ მოხსენებამ დამსწრე საზოგადოებაში ცოტა არ იყოს სიხარული გამოიწვია, იმ იმედით, რომ მაზრაში ამიერიდან ბოლო მოეღებოდა ბოროტ მოქმედებას და ერთხელ და სამუდამოთ დაადგებოდენ სწორ გზას, მაგრამ რას ვხედავთ! მოახლოვდა იანვარიც, სადაც არის შესდგება ხმოსანთა წლიური ყრილობაც და მოანგარიშე ჯერაც არსადა სჩანს, ალბად გამგეობა სხვა საქმეებით არის დატვირთული, ან და ეშინიან ანგარიშის მოხდენისა, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ ეს ანგარიში გადამბულია ნაკომისრალ ლაცაბიძეს და მის თანამოძმეების მოქმედებასთან, რომელიც ბევრ რამე საგულისხმიერო საბუთებს გამოააშკარავებს, მაგრამ ასეთი საბუთების გამოაშკარავება ხომ მათი ყელის გამოჭრა იქნება, რადგანაც ზოგიერთ გამგეობის წევრებიც წამოეგებიან ანკესზედ.

სწორედ ამ მიზნით არ მოხსენდა ყრილობას ყოფილ სასურსათო კომიტეტის შესახებაც, მაგრამ როდემდის დაიმალება; დრო არის თავი დავანებოთ მიკერძოვებას, ყოველივე უნდა იზომებოდეს ერთი საზომით და დამნაშავე,—ვინც უნდა იყოს ის,—მიუხედავად პარტიული ამხანაგობისა, ისჯებოდეს სასტიკად.

დამსწრე.

——

სოხუმი.

ეს ქალაქი მახლობელი ზურგია იმ ჯარისა, რომელიც მედგრად და შეუდრკელად იცავს სამშობლოს-საუკუნოებრივ მტერ-რუსეთისაგან. თითქმის ამ ჯარზე არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ-ყოფნა, იმ დრომდე მაინც, ვიდრე ჩვენი დამოუკიდებლობა ყველა სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული იქნება. ამიტომ საჭიროა სოხუმის ასპარეზის ჯარს და მის ზურგს რაც შეიძლება მეტი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და ფიქრი შეეწიროს, როგორც მთავრობის მიერ ისე საზოგადოებისა. ეს ჯარი არავითარ ნაკლულევანობას არ უნდა განიცდიდეს, იგი გულ-დამშვიდებული და ზურგ გამაგრებული, წინ შეუპოვრად და წარბ შეუხრელად გაიცქირებოდეს, ზურგში იმას ყველა კეთილი მყოფელი და კეთილის მსურველი უნდა ჰყავდეს, ან ყოველ შემთხვევაში ეგულებოდეს მაინც.

თუ ამ მხრივ შევხედავთ სოხუმს, იგი ვერ არის საიმედო ქალაქი. აქ ძველებურად პარპაშებს რუსული სული, რუსული ენა, მუდამ ჟამ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი. სოხუმში მრავლად მოიპოვება ყოველი ჯურის გადაგვარებული, მოხეტიალე და ბედის მაძიებელი ელემენტი, საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მეტად საზიანო და საზარალო.

ამ უკანასკნელ [illegible] რებია სოხუმის ოლქის ქართველთა ეროვნული საბჭო და მისი ორგანო „მნათობი". „მნათობის მე2 №-ში სწერია: „ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, ვისგანაც ჯერ არს, რომ ბოლო მოეღოს ლმობიერებას და ქალაჩუნობას".

„უნდა გაიწმინდოს როგორც მთელი საქართველო ისე სოხუმი და მისი პროვინციებიც ამ მრავალ მუქთა ხორა და რესპუბლიკის მოსისხლე მტრებისაგან. ზოგიერთნი ამ საკითხს ეკონომიური კრიზისის გასანელებლად აღიარებენ, ჩვენ არ უარვყოფთ მის ეკონომიურ მნიშვნელობას, მაგრამ ხაზს უსვამთ და ვაღიარებთ, რომ ეს ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და სანამ მთელი საქართველო სრულიად არ გაიწმინდება ამ ბოროტ და ღვარძლიან მტრებისაგან, მანამ ვერ მოისვენებს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელიც მახვილით იცავს ძვირფას სამშობლოს თავისუფლებას და კეთილდღეობას, მაგრამ მან იცის, რომ ზურგში მრავალი ბოროტი მტერი ჰყავს, რომელიც ზურგიდან ეპარება და გაჭირვების ჟამს ზურგში ლახვარის დაცემას უპირებს".

. . . . . .

„კმარა ყოყმანი და ლმობიერებაო. ამას სწერს ის ორგანო, რომელიც არის ქართულ ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი.

ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინდენ.

ი. ჯავახი.

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1,
50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში.. [illegible] სინჯვა და წამლობა X-ს [illegible]. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ.
7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე [illegible]-
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოთ 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3.
ტელეფონის № 17—21.

ექიმი
მ. ზანდუკელი.
მოსკოვის კლინიკის და სანატორიუმის ყოფილი ასსისტენტი.
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს (ელექტრონით წამლობა და პსიხოტერაპია). იღებს საღ. 5 ს.—6 ს.
9 ანასტასიევის ქუჩა № 13. ტელ.
—31 265—25—1

საექიმო კაბინეთი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

სტამბა „ცხოვრება" გამავალის შესახვევი №4.